აიღო და უნდა უმწევესო ან ბატებს, ან ცხვარს და ან ხარ კამეხს. თვასში სარჩენი ბევრი ჰქავს, მაგრამ ამის მამა ვერ ახდას უკვლავფერს. ამის გარდა, ბევრი გადასახდა აქვს შესატანი ხაზინაში და შემოსავალი კი არაფერი აქვს. რა ჩინს სწავლამა! თავისი შვილი უნდა მოამოროს სეკვარელ სამშობლოს. მაჰქავს სდღაც ქადაქში, რომ ორიოდე გროში ამოგინოს. მიიფუნს ვანმე მექარხნისთან, და გაურიგდება დღეში ანახათ, ან ექვს შაურათ. ახლავს და მუშავ, შენ აქ დასუთულ ჰქერში და ხესტან შენობაში გამუშავებენ ათათრმეტ სხათს. ერთხელაც აქნება და „სახეანი“ ქარხნად განგებებს, რადგან არ მოეწონა შენა მუშაობა, ან შენ ავითთხვე არ მოსწონხარ. ესლად იძულებული ხარ წასვადე სხვა მექარხნისთან, ან სოფელში. მიდიხარ სხვა მექარხნისთან და კუბეობი, სამუშავო მიმეტეო. ის განასუხებს, მე მუშები ბევრი მყავს და ესენიც უნდა დავითხოვოვთო. ის განასუხებს, თუ დავებო ბავშვის ფასათ — იფავი, რადგანაც ბავშვისც შეუძლიან ჩემ მამხიებზე მუშაობათ. მიდიხარ კადვე სხვასთან და სთხოვ ალაც, მაგრამ აქც გუბნებთან, სასეირო რომ იეთ, შენი „სახეანი“ არ დავითხოვლად. ესლად იძულებული ხარ ორში ერთი აირჩიო: ბავშვის ფასად მუშაობა, ან სოფელში წასვლა. ვთქვათ, წასვლი სოფელში. სავუთარა მიწა არა აქვს, მასვალ მემამულესთან და ვტევა: ბატონო, მაქვნი სიკეთე, მომეცა მიწათ. ის გუბნებს: კარგი, მაწის მოგცემ, მაგრამ, ნასკვარა მოკვლი მოსავლისა მე უნდა მომეცო. რას იხამ! მეტა გზა არა აქვს და შენც ეთანხმები. კავიდან რამდენიმე ხენი. ამხობაში შენც მოგებნრდება შენი ნამუშვარის სხვისთვის წადვა და ეტევა: ბატონო, მიწა უფრო შელავათანი ზირობით მომეტეო. მამინ მემამულე მასწერავს ბოქაულს: ეს და ეს კაცა „ბუხტოფიკავა“ო. ბოქაული გამოგზავნის სულთა მხუთავებს და გაკარავს თავს შორს, სდღაც რავ ქვეუანში, ან ხესტანს ცასეში ამოგაღმობენ. ასეთათა შენი ცხოვდება, დახატრულად ხლხო.

ა. პ.

გ ლ ე ს ს

როდესაც წამოიქმნება
ქალიქად, მთად და ბარად;
ცას გადევრება ღრუბელი,

მოსქდება სისხლი ღვარადა, —
მზათ იყავ, გლახო, იმ დღისთვის,
შორს სტყორცნე სევდა გულისა, —
დაჰკა მტერს, დაჰკა, რომ ნახო
შენც სხივი გაზაფხულისა!

იკლდე, შენ ხარ დიდება
ამ უკულმართი სოფლისა,
შენა და მუშა ქალაქის, —
შენთანვე მღვრელი ოფლისა!
უთქვენოთ მთელი ქვეყანა
შიმშილით ამოწყდებოდა;
ვერც ერთი მუქთა-მქამელი
ასე ვერ გასუქდებოდა!

მითხარი, შენ ვინ გიბრალეხს,
რომ შენ სხვა გებრალეზოდეს?
მუქთად წყალს არვინ მოგაწვდის,
წყურვილით სულიც გხდებოდეს.
სუყველა შენით სულს ითქვამს,
მდიდარნი შენით ძღვებიან;
ლუკმას შენ აწვდი იმ სვავებს
და მიინც გემდურებიან!..

არა, როს წამოიქუხებს
ქალაქად, მთად და ბარადა;
ცას გადაეკვრის ღრუბელი,
მოსქდება სისხლი ღვარადა, —
მზათ იყავ, გლახო, იმ დღისთვის,
შორს სტყორცნე სევდა გულისა, —
დაჰკა მტერს, დაჰკა; რომ ნახო
შენც სხივი გაზაფხულისა!

მ. ასათბაძე.

ჩვენებური აბეზი

ზემო-ქართლი

უპირველესი მიზეზი, რომელმაც შეარყია და ჩააბა აქაური გლეხი განმათავისუფლებელ მოძრაობის ფერხულში, არის მიწის სიმცირე. მიწაზე ფიქრობს იგი მუშაობის დროს, მიწა უდგას თვალწინ მოსვენებისას და მიწა აქვს წარმოდგენილი თავის მომავლის საგნად იმ დღიდან, რაც განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო. გლეხმა ცხადად დაინახა, რომ

მას უფლება აქვს ჰქონდეს საკმაო მიწა, ხოლო როგორ და რა გზით ჩაიგდოს იგი ხელში, ეს მისთვის გამოურკვეველია. დღემდე ბევრი დარწმუნებული იყო, რომ მთავრობა მემამულეებისაგან მიწებს გამოიყიდიდა და გლეხებს დაურიგებდა, მაგრამ დღეს ეს არავის არ სჯერა.

კახეთი

„მიწა მიწის მუშასაო“, — გაიძახიან ყველგან და კახეთიც ბანს აძლევს ამ ღვთიურ სიტყვებს. პირველად, როცა გლეხთა მოძრაობა დაიწყო კახეთში, გლეხები გაიძახოდნენ, ყველანი ერთნაირები, თანასწორი დედის შობილა დავბადებულვართ, ამოდენა დედულ-მამული: სახნავი მიწები, ტყეები და ზვრები თან არავის დაჰყოლია და ეს ღვთის გაჩენილი სიმდიდრე გვეკუთვნის ღვთის შვილებს და არა რომელიმე კერძო პირებსაო. როგორც ჰაერი და წყალი არ გაიყიდება, ისე კიდევ დედამიწა. მიწდრები არავის შეუქმნია და ტყეები არ აუშენებო, რომ იძახიან, ეს ჩვენი საკუთრება არისო და მთავრობაც კვერს უკრავს.

ვინც რა უნდა თქვას, როგორც უნდათ იფიქრონ, მაგრამ ის დრო წავიდა, როცა დიდი ბატონების და პატარა ტყის მცველების ნებადურთველად ტყეში ვერავინ შესულიყო, ერთი კონა ფიჩხისთვის პურის გამოსაცხობად. წარსულ ზაფხულს თავისუფლად შევიდა ხალხი ტყეში და იმდენი გამოიტანეს, რამდენიც უნდოდათ.

მართალია, ჩვენ სიმართლეს ვემსახურებით, არავის მხარე არ უნდა დავიჭიროთ, მაგრამ ჩვენც მოგვივა შეცდომა და უნდა გამოვტყდეთ, რომ ბევრმა ჩვენგანმა გადააქარბა ტყის მოჭრაში. იმედია, მერე აღარ განმეორდება ეს შეცდომა.

წავიდა ის დრო, როცა მიწის დამუშავებაში მიწის პატრონ მებატონეს მოსავლის ნაოთხალი მოჰქონდა და ამას გარდა ქრთამსაც თხოულობდა. შარშან ხომ ბევრმა ვერ მიიღო ნაოთხალი და მგონი წელსაც ასე იქნება. გლეხებმა გადასწყვიტეს მიწის ქირად მეთედის მიცემა. ჯერ არ ვიცით მემამულენი რას ფიქრობენ, შარშანდელივით ყაზახ-რუსებს მიუსევენ და ეკზეკუციას ჩაუყენებენ, თუ მოერიდებიან ასეთ საქმეს, რადგან შარშან ყველამ კარგათ დაინახა, რომ ყაზახებმა ვერაფერი უშველეს,

პირ-იქით, მტრობა და შური დათესეს და ამით თავადიშვილები ისე შეწუხდნენ, რომ თვითონვე სთხოვეს ეკზეკუციის ასხნა.

ღალის მიცემის დროც დადგა და როგორ ჩაივლის ეს საქმე კახეთში, ამასაც მალე დავინახავთ.

კახელი გლეხი.

ქიზიყი

14 ივლისს მოკლეს სოფ. ჯუგაანის მამასახლისი გიგა ალადაშვილი. მკვლეელი მიიმალა. ამბობენ, მამასახლისი იმიტომ მოკლეს, რომ ჯაშუში იყო. რამდენჯერმე მიუგზავნიათ მასთან ამორჩეულები გასაფრთხილებლათ — ჩამოგვეცალე, ნუ გვიშლი ხელს, ნუ გვაბეზღებ, თორემ წუთი სოფელს გამოგასალმებთო. მაგრამ, როგორცა სჩანს, იმას თავისი ხელობა არ მოუშლია და აკი გამოასალმეს კიდევ წუთი სოფელს. ხუთი ძმა ზედელაშვილები დღემდის იმის წყალობითა სხედან სატუსაღოში.

სოფ. კოტორის კალოებზე ვილაყებმა გლესს ჯანგულაშვილს გადაუწვეს საბძელი და სარჩო საბადებელი. საქმე ასე ყოფილა თურმე: როდესაც ჯანგულაშვილს მკა გაუთავებია და ძნები სრულიად ამოუტანია კოტორის კალოებზე (ამბობენ 225 ათეული იყო) და დაუწყებია საბძელში, საღამოთი ვილაყა უცნობი შეპარულა საბძელში, შიგ შუაგულ ძნებში ჩაუსხავს ნავთი, მიუცია ცეცხლი და მიმალულა.

ხმა დადის, იმიტომ გადაუწვეს ჯანგულაშვილს სარჩო-საბადებელი, რომ მან თავადიშვილების მამული აიღო იჯარით და იმის წყალობით სოფელი დარჩა უმამულოაო. თურმე სოფელს უნდოდა ეს მამულები, ეხვეწებოდა კიდევ, მაგრამ რეაქციის იმედებით გამხნეებულმა ჯანგულაშვილმა არამც თუ არ შეიწყნარა თხოვნა გლეხებისა, პირიქით, ორჯერ მეტი მისცა მემამულეს და დაიტოვა ბურთი და მოედანი.

20 ივლისს, საღამო ეამზე რევოლვერით მოკლეს ბ. ყორღანაოვის ნოქარი გეურქა ფარსადანოვი. მკვლეელი მიიმალა. მიზეზი, როგორც ამბობენ, ჯაშუშობა და მოღალატობა იყო ნოქართა გაფიცვის დროს, რომელიც აქ მოხდა ამ ორი კვირის წინად. რამდენჯერმე გაუფ-

თხილებიათ თურმე, ნუ გვღალატობ, ჯაშუშობას თავი დაანებეო, მაგრამ, როგორც ამბობენ, ის ყველას მასხარად იგდებდა და არაფერს ერიდებოდა.

21 ივლისს გაცარცვეს სიღნაღის ფოსტა ქ. ტფილისიდან სიღნაღში მიმავალი. მოპყლეს ფოსტალიონი, ერთი „სტრაჟნიკი“ ლოლადე და ორიც დასჭრეს. სოფ. ყანდაურში დღესვე ჩააყენეს დრაგუნები ეკზეკუციად. ფულად წაულიათ სამი ათასი ხუთასი მანეთი და სხვა ქალაქები.

მიწის საკითხი ქიზიყში სრულიად არ არის მოწესრიგებული. ამის გამო ხშირია უსიამოვნება გლეხებში, განსაკუთრებით ასეთი საკითხი გამწვავებულაა ქიზიყის თერთმეტ სოფლის საზოგადოებაში, რომლებიც ძლიერ გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან და დღესაც არ იციან თავიანთი ადგილების რაოდენობა. ამ საქმის გამოსარკვევად ამ ბოლო დროს კავკასიის უმაღლეს მთავრობასაც მიუქცევია ყურადღება და, სხვათა შორის, ამას წინად მოწვეულ სხდომაზე ერთ დიდ მოხელეს უთქვამს: „ერთად ერთი მწვავე გარდასაწყეტი საკითხი მთელ ტფილისის გუბერნიამიო არის მიწების მოწესრიგების საქმე ქიზიყის სოფლებშიო“. ეხლა როგორც ნამდვილ ცნობებიდან შევიტყვე, ეს საკითხი ამ წინადა დაყენებული მთავრობის კანცელარიებში: 1892 წლებიდან ამ სოფლის გლეხთა შორის უთანხმოება იზდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მთავრობა გზავნიდა ადგილობრივ მიწის მზომლებს და მოხელეებს, რომლებიც დროებით ამყარებდნენ მშვიდობიანობას საბოლოოდ საქმის გათავება კი დღემდის ფიქრადაც არაფის მოსელია. მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში დიდი არეულობა გამოუწვევია ამ საქმეს გლეხებში. საქმე იქამდის მისულა, რომ შეტაკება მომხდარა და რამდენიმე გლეხი და პოლიციელი უმსხვერპლია ამ შეტაკებას. ჯარიც ჩარეულა საქმეში მშვიდობიანობის აღსადგენათ და გლეხებიც დროებით მიჩუმებულან. ყველა ამისთანა უსიამოვნო ამბები მომხდარა ისევ მთავრობის მოხელეების დაუდევრობით; საზოგადოდ მთელ ამიერ კავკასიაში და ქიზიყის სოფლებშიც არაა გამორ-

კვეული მიწების რაოდენობა, არაა პლანებზე გადაღებული სახელმწიფო და კერძო მემამულეთა სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები. ყველა ამას მოყვა სახელმწიფო და საერობო გარდასახადების უსამართლოდ გაწერა გლეხებზე. ამას ისინი უფრო მეტად გაუბრაზებია და საქმეც უარესად გამწვავებულა. რომ მშვიდობიანად გათავებულაყო ეს საქმე, 1905 წლის განმავლობაში იქაურმა მომრიგებელმა შუამავალმა თავადმა ჯორჯაძემ სოფლების არჩეული დებუტატები ჩამოიყვანა ორჯერ ნამესტნიკთან. დებუტატებმა პირადად აუხსნეს ნამესტნიკს ქიზიყელების გაქირავებული მდგომარეობა და დახმარება სთხოვეს. ამის შემდეგ ნამესტნიკის ბრძანებით შესდგა კომისია ქიზიყის მოხელეებისგან, მაგრამ კომისიამაც ვერა გააწყო რა. ამის შემდეგ ისევ შუამავალმა ჯორჯაძემ გუბერნატორის თხოვნით შეპკრიბა დაწვრილებით სტატისტიკური ცნობები ქიზიყის გლეხების შესახებ და ვრცელი მოხსენება წარუდგინა უმაღლეს მთავრობას. რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ეს საქმე უფრო გამწვავდებოდა, ამიტომ ამ ერთი თვის წინად მთავრობამ გადაწყვიტა გაგზავნოს სოფლებში მიწების მომწესრიგებელი კომისია, რომელიც უნდა შესდგეს მიწის მზომლებისა და ტეხნიკოსებისგან. ამათ დაწვრილებით და სისწორით უნდა გაზომინ სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები ქიზიყის სოფლებისა, რომ შემდეგ მიწების რაოდენობით იქმნას გაწერილი გლეხებზე ყოველნაირი სახელმწიფო გარდასახადი.

გ უ რ ი ა

24 ივლისი. ერთი კვირა იქნება, რაც ოზურგეთის ნოქრები და სამიკიტნო-რესტორანების მოსამსახურენი გაიფიცენ. სანამ გაიფიცებოდნენ, თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს ვაჭრებს. თხოულობდნენ: კვირაობით სრულ დასვენებას, საკმლის და ბინის გაუმჯობესობას, დუქნების დილით 6 საათზე გაღებას და საღამოს 7 საათზე დაკეტვას, ნოქრების მიღება და დათხოვნა თვით ნოქრების საქმე იყოს, სამიკიტნო და რესტორანი კვირაობით მხოლოდ მორიგეობით თითო-თითო იღებოდეს და სხ. ვაჭრებმა არ დააკმაყოფილეს ნოქრები.

ყ ვ ი რ ი ლ ა

8 ივლისს გაიფიცა ადგილობრივ სააგურე ქარხნის 50 მუშამდე. წარადგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი:

9 საათის სამუშაო დღე; ნარდათ მუშაობა და თვიურად მუშის დაქირავება ამერიიდან მოსპობილ იქმნას; მუშები უნდა დაქირავებულ იქნან დღიურად; ქირა: ტალახის მომზელს დღეში 1 მ. 20 კაპ., აგურის მომპრკელს 1 მ. 40 კაპ., ქარხანაში ჩამწყობს და ამომწყობს 1 მ. 20 კაპ., და გამომწყავს დღელამეში 2 მ. 40 კაპ.; მუშების მიღება და დათხოვნა მუშების საქმე უნდა იყოს და სხე.

11 ივლისს საქარის სანერგის მუშები გავიდნენ სამუშაოდ. მუშები დაუკმაყოფილებიათ.

ზ ა ნ ა თ ი (სამეგრელო).

ამას წინად გვეწვივნენ დრაგუნები (ცხენოსანი სალდათები) და კაზაკები თავიანთ უფროსებით. სტუმრები დაბინავდნენ ივანე ძაძამიას სახლში, მოითხოვეს წითელი რაზმელები, ასის თავები და ათასის თავები. დასახელეს კიდევ ალექსი ძაძამია, ყირიმა ქანდარია, კოლია გუნია და შმაგი ქობალავა. ჯარის უფროსმა უბრძანა მამასახლისს, დაუყოვნებლივ შეეკრიბა საზოგადოება. შეკრებილ ხალხს ჯარის უფროსმა უბრძანა, 24 საათის განმავლობაში წარმოადგინეთ წითელი რაზმელები, წინააღმდეგ შემთხვევაში დაწვა-აწიოკება არ აგცილდებათო. ამავე დღეს ჯაშუშების დასმენით დაიქირეს ოთხი კაცი: დავითი და პეტრე გუნები, ბაკურა ქანდარია და პახვალა ქობულავა. ესენი აბაშის სატუსალოში დაატუსაღეს. შვიდის დღის შემდეგ გაანთავისუფლეს.

სოფ. მანდიკორი (ქუთაისის მაზრა)

დადგა თუ არა რეაქცია, ჩვენმა მამასახლისებმაც გამოპყვეს თავი, გადაიკლეს თავიანთი ჯაჭვები, რომლებსაც ასე გულმოდგინედ მალავდნენ დღემდის სახლში შიშით, და ხელი მოპყვეს თავიანთ სამარცხვინო საქმეს. ველარ ახსენებთ მათთან ვერც ხალხს, ვერც ახალ თაობას და ვერც თავისუფლებას. „ხალხი ვინაა, — გაიძახიან ეს ვაჟბატონები, — ხალხი თხის ჯოგია, მას უფროსი ექირავება და ეს უფროსი აქ ჩვენა ვართ და მერე „პრისტავი“, „ვეზნაჟა-

ლიკი“ და სხვანიო. დიად, ისევ ძველებურად გაითარეშეს ამ ვაჟბატონებმა. ამ დღეში ჩვენს სოფელში მამასახლისმა ბაკურადემ ერთ გლენს — კუბლაშვილს სახელმწიფო გადასახადებში გაუყიდა ოთხი თოხი, ორი ცული, ერთი სპილენძის ქვაბი, სპილენძის ტაშტი და ერთი ხერხი. ამ ვაჟბატონმა ნარბევის გაყიდვა ახლო-მახლო სოფლებში რომ ვერ მოახერხა, სადღაც სხვაგან გაასაღა საცოდავი გლენის ავლა ღიდება.

„ბრძანებას ვასრულებთო“, — გაიმართლებენ თავს ეს ვაჟბატონი და ძმანი მისნი ჭალარ დაგიდევნენ, რომ არის ისეთი ბრძანებაც, რომელიც აუსრულობა უფრო სამართლიანია, ვიდრე მისი ასრულება.

გოლგნოლი შუბა.

მკვლელობა

ცხინვალში მოუკლავთ ორი შეძლებული კაცი: ვასილ შერმაზანოვი და ისაკა მელიქოვი და მძიმედ დაუჭრიათ მიხილდ ყულიჯანოვი. სამივესთვის რევოლვერი უსროლიათ რამდენჯერმე.

რ უ ს ე თ ი

გლენების მოძრაობა

გლენების მოძრაობა არა სცხრება. საქმე ის არის, რომ გლენების მოძრაობის გაძლიერებას ეველგან თვით პოლიცია უწყობს ხელს. იქ, სადაც მოძრაობა მშვიდობიანად დაიწყო, გაცოფიანებულმა პოლიციამ თავის სასტიკის ზომებით მოთმინებინა გამოიყვანა გლენობა და წვა-დაგვა დაწვებინა. სლონიისკის მხრებში, მაგალითად, სულ მშვიდობიანად დაიწყო საქმე, მაგრამ ესლა დამოკიდებულება ძალზე გამწვავდა. მოძრაობა ავლისის შუა რიცხვებში უბრალო გაფიცვებით დაწვებულა. პოლიციის სასტიკმა ზომებმა, რომლის მსხვერპლადაც სწორად უდანაშაულო ხალხი ხდებოდა, სოფლებში ადევდა და ბირდაბინი ბრძოლა დაიწყო. ესლა შემამულეების ტყეებს ჰკაფავენ, ძნას სწავავენ და სახლებს ანადგურებენ. თუმცა ეველგან დამტყველი რაზმები გაიგზავნა, მაგრამ საქმეს მაინც ვერაფერი ეშვა: მოძრაობა ისევ ძლიერდება. სახელმწიფო სათათბაროს დათხოვნის ამბავი ამ მხრებში ჯერ არ მასულა. ფიქრებენ, რომ გლე-

ნებში, რომელნიც მთელს თავის ამელებს სათათბაროსე ამელებდენ, მისი დათხოვნა ისეთს უკმყოფილებს გამოაწვევს, რომ მოძრაობას ველარაფერა შეახერხებს.

— სარტავის გუბერნიის ბაღდაშავის მხრებში 11 ავლისის გლენებმა ვაჭარს მ. დ. მიაგვოს მოსვალა სრულად გაუნადგურეს. ამ უამდ კინოგონებერის საერთო გამკობის წევრის მამულს აკლებენ. ბაღდაშავის რაზმის სოფელ ინასევის, ტერნოკისა და მისილოკის გლენებმა შემამულეებს ორს ფუთზე მეტი ხორბალი წაართვეს, მიაქეთ ეველაფერა, სახლის მოწეობილებას კი აფუჭებენ. შემამულენი ქალაქებში კარბიან. ამათ აქამდის ჯარის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ესლა ეს იმედიც აღარა აქეთ, რადგან რამდენსამე ადგილას კახაკებს სროლასე უარი განუცხადებიათ. სახელმწ. სათათბაროს დათხოვნამ ძლიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლენებზე: „ესლა რდას უნდა უნადოთ, წავადეთ, შემამულეება გავრკეთ და მამულს ძლიათ დაკმატრანოთ“, ამბობენ გლენები.

— ვოლგის იქითა მხარეს დიდი სადავალ მამულა მოძრაობა დაწვებულა. მთელი ჯარი დამშეულ გლენებისა მისტრია შემამულეებს კარგზანოვს, აგაფნოვს და სხვათ და ხორბალი და ფული წაურთმევათ. დერგჩის მიდამოებში ასეთავე ამბები ხდება. ნოვოუსენსკისა და მალოუსენსკში გლენები რკინის გზის სადგურებში მიდიან, მატარებლებს იტყრენ და პოვრფისკის სახლისკენ მიემკვანებინან. ოზინოვადან დებეშით იუწყებინან, რომ ორი ათას გლენს ოზინოვკის ქარხნის მუშებიც მიემხრენო.

ვინ რითი ცხოვრობს

(გადმოღებულა)

2. მუშა და მეფაბრიკე.

ყოველი მუშა, რომელსაც არა აქვს არც ფული, არც აარადი, არც სახელისნო, არც მიწა, იძულებულია გაუადოს თავისი თავი, დაექარბოს ვისმე. ადრე თუ გვიან ის ჰპოვებს თავის მუადველს მექარხნეს თუ შემამულეს.

რისთვის ეადულობენ მუშას? მექარხნემ შეიბრდა და უნდა დაეხმაროს გაჭირებულ კაცს? სრულადაც არა! მექარხნე ეადულობს მუშას იმიტომ, რომ მუშას მუშობა შეუძლია. მუშას

დაქორწინების დროს შექარხნე მსოფლიო ამის ფაქტობრივად, რომ მუშა დონორი და მარჯვე იყო. მის სტილია სამუშაო ძალა, და მის ეადულობს. მაგრამ ხლდა ვაკითხით, რამდენს იხდის შექარხნე თუ შემამულებე მუშის ძალაში? საზოგადოთ ჩვენ ვიცით უკვე, თუ რა დირს მაგალითად სტაქანი, კალათი, სტოლი, ჩექმა. ყოველი საქონელი დირს იმდენი, რამდენი შრომაც არის გაწეული მის მოსამზადებლად. ვსთქვათ, რომ სტაქანის გაკეთებას მოუხდა ნახევარი საათი დრო, სტოლის გაკეთებას 10 საათი, ჩექმების შეკერას—30 ს. ვსთქვათ ისიც, რომ ჩვენში ერთი საათის მუშაობა დირს 10 კან. ხლდა ადვილი გამოსანგარიშებლად, თუ რა დირს სტაქანი. სტაქანის გაკეთებას მოუხდა ნახევარი საათი, მას ის დირს 5 კან. სტოლის გაკეთებას მოუხდა 10 ს., მას ის დირს 1 მან. და რაკი ჩექმის შეკერას დასჭირდა 30 საათი, ჩექმა ედირება 3 მან.

მაგრამ როგორ უნდა გამოვიანგარიშოთ, თუ რა დირს ადამიანის შრომა, ძალა? ვსთქვათ რომ მუშის ძალა ვეიადეთ ერთის დღით და მუშამ რომ თავისი თავი ირჩინოს, იცხოვროს და იმუშაოს, მის სტილია დღეში სარჯად 60 კან. (საქმიელი, ტანისმოსი, ბინა და სს.), რომ გაწეული ძალა ისევე უკან დაიბრუნოს. ამაყრას, რომ მუშის ძალა დღეში დირს 60 კან. მუშისთვის, მის შესახლად საჭიროა 6 საათის მუშაობა (საათის მუშაობა ხომ 10 კან. დირს).

მეფაბრაკემ კარგად იცის, რომ სამუშაო ძალა დირს 6 საათის მუშაობა, იმდენი, რამდენიც დირს 12 სტაქანი და ამიტომ აძლევს მუშას მის ძალაში იმდენს, რამდენიც დირს 60 კანეიკიანი საქონელი. მაშასადამე მუშა დებულობს თავის სამუშაო ძალის ფასად იმდენს, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ შიმშილით არ მოკვდეს.

ახლა ისევე დაგუბრუნდეთ ჩვენს საგანს: რატომ ეადულობს შექარხნე, მეფაბრაკე ან შემამულებე მუშის ძალას? თუ რისთვის ეადის მუშა თავის ძალას, ეს ცხადია: გაჭირვებულის, შამშიდი აწუხების, შამშიდზე უარესი კი არაფერი არა დედამიწაზე.

მას რატომ ეადულობს შექარხნე მუშის ძალას? თავის შესატყვისად? არა. მას რისთვის? იმისთვის, რომ ფული მოიკოს.

ავადრო საქმის გასანტონათ მაგალითი. ვთქვათ, რომ ვინმე შეძლებულმა კანმა გახსნა ბაზისი სა-

როაგი (სასტავი) ფაბრიკა. იეიდა 1400 მან. ბამბა, მანქანაში გადაიხდა 80 მან., 24 მანეთად დასარჯა სხვა და სხვა მოწეობილობაში და დაიწყო მუშაობა. როგორ გგონიათ, რისთვის გახსნა მეფაბრაკემ ეს ფაბრიკა? უეჭველია იმისთვის, რომ ნართავი (სასტავი) გაეადოს უფრო მეტს ფასად, ვიდრე მას უდირს ბამბა, მანქანა და სხვა მოწეობილობა. ამ ნართავს არ გაეადის 1504 მან., რაც გადაუხდა თვითონ (ბამბა 1400 მ., მანქანა 80, სხვა — 24 მან.), ანამედ მოითხოვს მეტს, ვსთქვათ 2000 მან. მაგრამ მოთხოვა ადვილია. საქმე ისაა, მისცემენ ამდენ ფულს? ასეთი სასწაული რომ მოხდეს, მანქანამ თვითონ თავის თავად იმუშაოს და ადარ დასჭირდეს მუშა ხელი, მაშინ მეფაბრაკემ რომ მიუტანოს ვაჭარს ძაფი და 2000 მან. მოითხოვოს, ვაჭარი ეტყვის მეფაბრაკეს: შენ ძაფში 1400 მან. ბამბა, 80 მან. მანქანა და 24 მან. კადევე სხვა ხარჯი, სულ 1504 მან. და მეტს არც მე მოგცემ შენს ძაფში. მეტა არ დირს.

არა ვიცით, მოეწონებოდა თუ არ მეფაბრაკეს ასეთი ბასუხი. ვიცით მსოფლიო ის, რომ მანქანას ჯერჯერობით თავისთავად მუშაობა არ შეუძლია; მეფაბრაკის საუბედროდ მანქანას სჭირია მუშა, ისე მანქანა ვერ იმუშავებს. ეს კარგად ესმის მეფაბრაკეს და ამიტომ ქირაობს მუშებს. ვთქვათ, დაიქირავა 100 მუშა, თათო სამ-სამ აბასად. მუშა, რომელიც დებულობს დღეში 60 კან. სწემენდს ბამბას, ართავს, სრულდება სხვა სამუშაოს, მუშაობს, ეწევა შრომის ძაფის დასართავად (დასასტავად).

ბორველ საათის მუშაობის შემდეგ მუშამ დასარჯა ერთი საათის შრომა ანუ მიუმეტა ბამბის ფასს 10 კან. (თუ საათი მუშაობა დირს 10 კან.), მეორე საათის შემდეგ დასარჯა 2 საათის შრომა და მიუმეტა ფასს 20 კან., მესამე საათის შემდეგ დასარჯა სამი საათის შრომა და მიუმეტა ფასს 30 კან. ექვსი საათის შემდეგ კი მუშამ საქონელის ფასს მიუმეტა 60 კან. სწორედ იმდენი, რამდენიც მეფაბრაკემ მისცა მას დღიურ ქირად. მაშასადამე ექვსი საათის მუშაობის შემდეგ მუშამ მოლად გადაიხდა ის, რაც შიიღო მეფაბრაკისგან. ასე მუშაობს მუშა მთელი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ მეფაბრაკეს მიაქვს ძაფი ბასარში გასყიდათ და უნდა აადოს 2000 მან.

— რამდენი გინდა? 2000 მან.? ეკითხება

კატორა: ეს ძალიან ბევრია. შენ გვინდა, რომ შენი ძაფი 2000 მან. ღირს. ახ, ვაინჯარიშთ: ბამბა—1400 მან., მანქანა 80 მან., სხვა ხარჯი 24 მან., მუშების ქირა 360 მან., (თუ დღეში 100 მუშა მუშაობდა, ექვს დღეში მათი ქირა $600 \times 60 = 360$ მან.) სულ 1864 მან. მას შე შემიძლია მოგცე ძაფი 1864 მან. და ამასვე ერთ კაპიტალს ვერ მოგიმეტებ. — როგორ? ამბობს მუფაბრავე: შე არაფერი არ უნდა მოვიგო? თვათაან დავხარჯე 1864 მან., ჩემი შემოსავალი სადღა? რისთვის-ღა გავხსენი ფაბრიკა?

მართლაც, მეფაბრავეს არავითარი შემოსავალი არ ექნებოდა, რომ ერთი სერხი არ მოეკლებოდა და არ ამუშავებდეს მუშებს ექვს საათზე მეტს.

მაგრამ მუშებია იტყვიან: რატომ უნდა ვიმუშაოთ მეტი! ექვსი საათის განმავლობაში ჩვენის მუშაობით გადავიხადეთ ის, რაც მივიღეთ თქვენგან შრომის ფასად. ექვსი საათის მუშაობით შევამტოვებ უკვე თქვენს საქონელს 60 კაპ. ღირებულობა და ამასვე მეტი არც თქვენ მოგიციათ ჩვენთვის.

მეფაბრავე უმჯსუხებს მუშებს: შე თქვენი სა-მუშაო ძალა, შრომა ვიფიქრებ მთელი დღით და არა ექვსი საათით, ამიტომ შემიძლია გამუშაოთ მთელი დღე.

მუშებაც ძალა-უნებურად იმის მაგიერ, რომ წავიდნენ და დაისვენონ, ან თავისთვის ამუშაონ, რჩებიან და ექვსი საათის შემდეგ კიდევ ექვს საათს მუშაობენ.

მეფაბრავე აძლევს მათ ახალს მასალას, მუშებო განაგრძობენ მუშაობას, აკეთებენ ძაფს და თითო-ეული მათგანი უმეტეს ბამბას ეოჯელი საათის შემდეგ 10 კაპიტალის ღირებულობას და 6 საათს შემდეგ კი 60 კაპ. ღირებულობას.

რასაკვირველია, ეს ახალი ღირებულობა, შექმნა არაფრად არ უღირს მეფაბრავეს, რადგან ხარველი ექვს საათის შემდეგ მეორე ექვს საათს მუშებია მუქთად მუშაობენ, 100 ასეთი მუშა ექვსი დღის განმავლობაში შესძენს ჩვენს მეფაბრავეს 360 მანეთს.

ახლა რომ ბასწარში გაიტანოს მეფაბრავე ძაფი, რის მისცემენ? უმეტესად ამავე 1864 მანეთს, რადგან ძაფშია დახარჯული 1400 მან. ბამბა, 80 მან. მანქანა, 24 მან. სხვა ხარჯი და 360 მან. სა-მუშაო ძალა — მუშების შრომა.

ახლა მეფაბრავე სიამოვნებით გაყიდის ძაფს ამ ფასში, რადგან მას ძაფი 1864 მან. კი არ უღი-

რს, არამედ მხოლოდ 1504 მან., რადგან 360 მანეთის შრომა მუქთად აქვს. ახლა ის უმეტესად მოიგებს. ახ, ვაინჯარიშთ მთლად. "მეფაბრავემ ექვსი დღის განმავლობაში დახარჯა 2800 მან. ბამბა (1400 მანეთის ბამბა დაეხარჯებოდა, მუშებია რამ მხოლოდ ექვს საათს მუშაობდნენ დღეში), მანქანასაც ორჯერ მეტი დახარჯა — 160 მან. (რადგან დღეში მუშაობა 12 საათს და არა ექვსი საათის განმავლობაშია), სხვა ხარჯიც მეტი ექნება — 48 მან., მუშების ქირა — 360 მან. სულ დაეხარჯა 3368 მან. ძაფს კი გაყიდის 3728 მან. (ხარველი ექვსი საათის განმავლობაში დაამზადებულა ძაფი 1864 მან. და მეორე ექვსი საათის განმავლობაში დაამზადებულად — 1864 მან.) მასსადაც მოგება დარჩება 360 მან.

საიდან გზნდა ეს მოგება? აქიდან, რომ მეფაბრავემ მუშებს ნახევარი დღე ქირა მისცა და ნახევარი დღე კი მუქთად ამუშავა. მუშებმა ექვსი დღის განმავლობაში მხოლოდ სამი დღის ქირა მიიღეს, სამი დღე კი უფასოდ იმუშავეს მეფაბრავისათვის და ამით მოგება შესძინეს — ის 360 მან.

ახლა ჩვენთვის აშკარაა, თუ რისთვის ქირაობს მეფაბრავე მუშებს. ამისთვის ქირაობს, რომ მათი შრომით ფული მოიგოს. მასსადაც მეფაბრავე მუშების შრომით ინახავს თავის თავს. ასეა მოწყობილი მთელი ცხოვრება მუშისა. მისი ნახევარი საცოცხლე სხვას ეკუთვნის. ამიტომ ვამბობთ, რომ მუშა კაცო დღეს სხვისი ემს და მონაა.

ასეთია მუშის მდგომარეობა არა მარტო ფაბრიკისა და ქარხანაში, არამედ უბრალო ზატარას სასელონოშიაც. სასელონოს ზატარა აძლევს მუშის 6 საათის შრომის ქირას, მაგრამ ამუშავებს 14-15 საათს დღეში, ქირას აძლევს ერთ მანეთს და აკეთებინებს ორი მანეთის და ორი მანეთ ნახევრის საქმეს და ამით იგებს ფულს.

ასე ვფიქროვებ გლეხსაც შემამულე. გლეხს მიწა არა აქვს, მიწის მიწის ზატარა შემამულესთან, მუშაობს მის მიწაზე დიდად სიღარიბის 16 საათის განმავლობაში და რასაც გააკეთებს და მოიგვანს, ნახევარი მისია, ნახევარი მიწის ზატარას. ესეც შრომის და ძალღონის გაყიდვაა და სადაც ასეთი გაყიდვაა, აქ ეოჯელთვის იხარება მუშა კაცო. აშკარაა, რომ შემამულეც მუშა გლეხის შრომით ინახავს თავს, გლეხის შრომისაგან აქვს შემამულეს შემოსავალი.

წერილი რედაქციის მიმართ

სიკვდილი! ამ სიტყვას მალძალე ვეთხოვლობთ ხოლო მე გაცეთებში. საცა ჩვენს მოთმინებას ბოლო მოვლეს. ჩვენ, ქარელის რაიონის ასის თავები და ათის თავები ვუცხადებთ ზიზღს უდანაშაულოთ და მხეცურათ მოკლულ ამხანაგის იცვა რიკინაშვილის მკვლელებს, შენ კი, ამხანაგო, გამლოვეთ ფიცს, რომ გადაუხადოთ მტარვალებს ერთი ასაღ. შენი სახელი დარჩება ჩვენს გულში სამუდამოთ. დიდება შენ, მებრძოლო ამხანაგო!

ქარელის რაიონის მონღობილებით

გლეხი ვანო ჭ—მე.

რედაქტორ-გამომცემელა მ. ადამაშვილი.

„გლეხის“ ახმეტები პროვინციებში.

ქ. ქუთაისი: წიგნის მალიზა „კოლხიდა“.

ქ. ბათუმი: ქალაქის საბჭო, პ. გამყრელიძე და ამხან. „ბეორგია“.

სადგური საშური: კასირი გიორგი ჩარხიშვილი.

ჭიათურა: ბ. ბერიძე, ილიკო კაკაბაძე.

ფვირილა: წიგნის მალიზა გაჩეჩილაძისა. პლაკონ ლექვა.

ფოთი: ი. კონრეძე, ონისიძე ჟვანია, მიხეილ ესაკია.

სამცრედია: კირილე კონრეძე.

დიდი-გვირაქი: ნიკოლოზ სოსელია.

ქ. გორი: მისა აღუშვილი და წიგ. მალ. არჩვაძესი.

ქ. ღუშეთი: მღვდ. ცატუნაშვილი, ზაქ. სვიანიძე.

ქ. თელავი: ივანე პაატაშვილი.

ქ. სიღნაღი: გიგო შაიშვილაშვილი.

დ. ხონი: მოსიკო ქელიძე.

დ. ცხინვალი: ნიკო კასრაძე.

ქ. ოზურგეთი: პარშენ თოთიბაძე, მ. ტულუში და წიგ. მალ. „იმელი“.

ქ. სოხუმი: უშანგი პატარია და ბ. თელა სხაკია.

ქ. ახალციხე: კოსტანტინე გვარამაძე.

ფუგდი: ევგენი ძამიძე.

ყველა ზემოხსენებულ პირებთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „გლეხზე“

დაიბეჭდა და იყიდება ახალი წიგნი პროვინციის

კველი და ახალი

ფასი 25 კაპ.

იბეჭდება და მალე გამოვა ახალი წიგნი

საუბარი გლეხებთან

გამოცემა „გლეხისა“

„გლეხის“ კანტორაში იყიდება ახალი წიგნაკი

გლეხისა

გამოცემა „გლეხისა“. ფასი 3 კ. ადგენტ. ღ წიგნების მალაზიებს 20% დაეთმობათ.

ყოველდღიურა სანტალატიკო და სანტალატიკო

გაზეთი

სურათებიანი და მატებითი

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნილ ერთის წლით	7 მან.	სახდვარ-გარედ ერთის წლით	11 მან.
ეთის თვით	50 კაპ. სურ.	ერთის თვით	1 მან.
დამატებით	80 კ.		

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება 4 მან.

კანტორას ადრესი: ვანქას დადა ქუჩა, სსსლი მარტირუზავისა.

ივერია

1906 წელს

5 მარტიდან გამოდის ყოველკვირეულ გაზეთად, ზომით ერთიდან ორ თაბახამდის.

ფასი გაზეთისა წლის დამლევამდის ტფილისსა და ტფილისის გარედ გაგზავნილ 3 მან., 5 თვით — 2 მანეთი.

„ივერიის“ შარშანდელ ხელის მომწეროთ, რომელთაც ხელმოსაწერი ფული სრულად ჰქონდათ შემოტანილი, დაურიდებათ დაკლებული პრემიები №№ 8 — 11, რომლებიც უკვე დაბეჭდილია, ხოლო დანარჩენ მე-12 ნომრის მაგიერ გაგზავნებათ ყოველკვირეული „ივერია“ ერთი თვის განმავლობაში.

სეღის მთწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ფრუღინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакция < ИВЕРІА >.

სტამბა „იღვალნი“ (მ. დ. კიკნაძისა)

ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სახლი № 6.

8559
1906